

## უძრავი ქონების ბაზარი... 2014 (7)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის ივლისის თვეში უძრავი ქონების სარეგისტრაციო ტრანზაქციათა რაოდენობა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით 9.3%-ით გაიზარდა და ქვეყნის მასშტაბით 49 081 ერთეული შეადგინა. ა.წ. ივლისი 2010-2014 წლების იმავე თვესთან შედარებით ცალსახა ზრდით გამოირჩევა: 2010 წლის ივლისთან (32 485 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 51.1%-ით, 2011 წლის ივლისთან (39 581 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 24.0%-ით, 2012 წლის ივლისთან (44 461 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 10.4%-ით და 2013 წლის ივლისთან (44 888 ერთეული სარეგისტრაციო ტრანზაქცია) შედარებით - ზრდა 9.3%-ით.

წინა თვესთან შედარებით სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობა 7.2%-ით გაიზარდა: ზრდა დაფიქსირდა როგორც პირველადი (17.0%-ით), ისე მეორადი (4.9%-ით) სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობაში. 2014 წლის ივლისის თვეში სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) დაფიქსირდა 1.167 დონეზე, რაც აღემატება წინა წლის იმავე თვის ინდექსს (1.067).

ამკარაა, რომ წინა წლის იმავე თვესთან შედარებით გაიზარდა უძრავი ქონების როგორც პირველადი (28.1%-ით), ისე მეორადი (5.3%-ით) ტრანზაქციების რაოდენობა. 2014 წლის ივლისის თვეში პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 10 127, ხოლო მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების რაოდენობამ - 38 954 ერთეული შეადგინა; სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) კი პირველადი და მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების მიხედვით შესაბამისად 0.915 და 1.256 დონეებზე დაფიქსირდა.

რაც შეეხება პირველად და მეორად სარეგისტრაციო ტრანზაქციებს შორის თანაფარდობას, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით გაიზარდა პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციების წილი: ა.წ. ივლისში განხორციელებული სარეგისტრაციო ტრანზაქციების 79.4%-ს მეორადი, ხოლო 20.6%-ს - პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები შეადგენდნენ (2013 წლის ივლისში კი - შესაბამისად 82.4% და 17.6%).

**P.S.** დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა... ივლისი, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - უძრავი ქონების ბაზრის ტრანზაქციები... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**უძრავი ქონების პირველადი და მეორადი რეგისტრაციების თვის სტატისტიკა  
ივლისი, 2013-2014**

ინდიკატორები	ზ.ე.	ივლისი	
		2013	2014
<b>რაოდენობა</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	7906	10127
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	36982	38954
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	ერთეული	44888	49081
<b>სტრუქტურა</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	17.6	20.6
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	82.4	79.4
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	100	100
<b>ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-2.0	17.0
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	9.4	4.9
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	7.2	7.2
<b>ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	-36.5	28.1
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	15.5	5.3
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	პროცენტი	1.0	9.3
<b>სარეგისტრაციო ტრანზაქციების თვის ინდექსი</b>			
პირველადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	0.714	0.915
მეორადი სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.193	1.256
მთლიანად, სარეგისტრაციო ტრანზაქციები	კოეფიციენტი	1.067	1.167

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

Վճարահարմարության ցուցանիշի փոփոխությունները... 2010-2014  
Փոփոխությունների համեմատական ցուցանիշ (ՀԻՄԻՆԻ)

